პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო

18/03/2025

MES 5 25 0000295133

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 4 მარტს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83395610199
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნანა შარაბიძე
- ჯილდა აბაშიძე
- ინგა ბოჭოიძე
- დავით გუდაძე
- ნინო გორგოშაძე
- თამარ გიორგობიანი
- დავით კუპატაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი
დირექტორი - კობა მახათაძე;
ხარისხის მართვის უზრუნველყოფის მენეჯერი - დავით მაზმიშვილი;
ხარისხის მართვის უზრუნველყოფის ასისტენტ-მენეჯერი - ქრისტინე ხურციძე;
იურიდიული სამსახურის უფროსი, დირექტორის მინდობილი პირი - მევლუდ კუხიანიძე;
ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დირექტორის მინდობილი პირი - ნათია ქელეხსაშვილი.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ლალი ხვედელიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ასმათ დიასამიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით - ია ვერულიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით -ქეთევან ბაუჟაძე;
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - მზევინარ ძირკვაძე;
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი- დავით ბერიძე;
გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - ლევან ქარჩავა;
საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის ხელმძღვანელი - ლევან გობაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. შპს "უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის" საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ გიორგობიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N1483437 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს "უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში" 2024 წლის 27 ნოემბერს მონიტორინგის განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის გ.ა) და ე) ქვეპუნქტის ე.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით (ვიზიტის ადგილი ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. No14ა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის წევრებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. ექსპერტებმა შეისწავლეს სათანადო დოკუმენტაცია, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და სხვა.

ვიზიტის შედეგად, ხარვეზი არ გამოვლენილა.
სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2024 წლის ივნისში გაცემული იქნა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას. საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგი ეხებოდა შემდეგ ინდიკატორებს:

ინდიკატორი 3.1.1.3. დოკუმენტში ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა", გაიწეროს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.
მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 5.2.2.2. - დაწესებულება, ელექტრონულ საქმისწარმოებაში eflow - ში ჩაერთოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.
მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2.2.1.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის არსებობა. **მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია**

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
3.1.1.1 კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები, თუმცა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს ფორმალური განათლების აღიარებისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები.
3.1.1.4 პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში რიგ შემთხვევაში არასწორადაა ფორმულირებული კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული ტერმინები, მაგალითად, პროფესიული სტუდენტის ნაცვლად დაფიქსირებულია სტუდენტი, მოდულის ნაცვლად - საგანი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული ტერმინოლოგია.
5.2.2.2 დაწესებულებაში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა eFlow, რომელშიც ჩართულია 2 მომხმარებელი - კოლეჯის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. საქმისწარმოების უფრო სისტემურად და ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ინფორმაციის მყისიერად გაზიარების თვალსაზრისით, რეკომენდებულია, eFlow სისტემაში კოლეჯის ადმინისტრაციის უფრო მეტი მომხმარებელი ჩაერთოს.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 3 AC და 1 B სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. კერძოდ, 3 AC სასწავლო გარემო (თითოეული 24-24 პროფესიული სტუდენტისთვის), 1 B სასწავლო გარემო (12-12 პროფესიული სტუდენტისთვის ჯგუფების გაყოფის პირობით), რომელიც გამოიყენება მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერება" განხორციელებისთვის. კოლეჯის სააუდიტორიო ფონდში გამიჯნულია გრძელვადიანი პროგრამებისა და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართები. პროგრამის კონტექსტში 144 პროფესიული სტუდენტის ქვოტის ფარგლებში სააუდიტორიო ფონდის გამტარუნარიანობა ეჭვგარეშეა. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებებით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ლეპტოპებით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილებით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-11 მუხლი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს მათი საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო და ამჟამად ამ გარემოთი მათი შშმ მასწავლებელი სარგებლობს. აკადემიას ამავე რეგულაციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მდგომარეობის გათვალისწინებითა და მისივე ჩართულობით დაწესებულება შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც დაეფუძნება პროგრამას/მოდულს და მოდიფიცირდება მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილებით და/ან აკომოდაციით (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ ირიცხება სსსმ/შშმ პირი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და IT პროცესების სისტემის ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას. ადმინისტრირებასა და გამოყენებაზე მონიტორინგს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური.

დაწესებულების ვებ-გვერდია safetyacademy.ge, სადაც განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამართლებრივი აქტები, პროგრამები, სტუდენტებისთვის: შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, პრაქტიკის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი. ვებ-გვერდზე განთავსებულია - ხშირად დასმული

კითხვები, სიახლეები, შეფასებები, საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია პარტნიორების შესახებ, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და კატალოგი. კოლეჯს აქვს აგრეთვე სოციალური ქსელის გვერდი, სადაც დაწესებულება განათავსებს სათანადო ინფორმაციას.

ექსპერტის განცხადებით, „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 24 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე და შეადგენს 156 000 ლარს. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია შენობის იჯარის, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი განვითარების ხარჯები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 144 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 მიღებაზე, თითო მიღებაზე მაქსიმ 3-3 ჯგუფი, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობით 24-24 პროფესიული სტუდენტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 4 საწარმოსთან ავტორიზაციის ვადით: შპს დომუს კონსტრაქშენი (მის: პოლიტკოვსკაიას #12; გაზაფხულის ქ. #8 და მისამართი: ქ. თბილისი,), შპს ა-ლ. ფ. ა ჯგუფი (მისამართი: რუსთავი გაჩიანის გზა), შ.პ.ს. ,,დევარტ ჯგუფი'' (მის: ქ.თბილისი, სამურზაყანოს 39), შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა (მის. ი. ჭავჭავაძის 33).

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის მდგრადობის მიზნით, იმისათვის, რომ დაწესებულებამ ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, თითო მიღებაზე მაქსიმუმ 3-3 ჯგუფად დააორგანიზოს სასწავლო პროცესი. კოლეჯს ჰყავს სათანადო რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, სულ განახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ მოდულებს განახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო 3 მასწავლებელი - ზოგადსაც და დარგობრივ მოდულებსაც. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებს მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია ,,კოლეჯის დებულების“ და “საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის” მიხედვით და მას ნიშნავს კოლეჯის დირექტორი. აღნიშნული პირი ხელმძღვანელობს პროგრამის სამუშაო ჯგუფს და აქვს პროგრამის დარგობრივი ხედვა, დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენცია. პროგრამის

ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და განვითარებას. იგი ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, 3.1.1.1 ინდიკატორის თანახმად, შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა. რამდენად შეესაბამება აღნიშნულ საკითხს განმავითარებელი რეკომენდაცია, მოცემულ შემთხვევაში სტანდარტის ან ინდიკატორის დარღვევა ხომ არ იჩენს თავს.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას გააჩნია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის რეგულაციები, დოკუმენტში გაწერილია ისეთი მექანიზმები, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის შედეგების შეფასებისა და გადაბარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ და სხვა. მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს აგრეთვე ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან, როგორც ადმინისტრაციის, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯს არ აქვს განსაზღვრული ფორმალური განათლების აღიარებისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ფორმალური განათლების და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.კოლეჯი მუდმივ მზაობას გამოხატავდა, რომ თითოეული რეკომენდაცია ზედმიწევნით შეესრულებინა და ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, განმავითარებელი რეკომენდაციის გაკეთება. უკუკავშირის შედეგად კი დაწესებულებამ დაადასტურა მზაობა და გამოასწორა აღნიშნული უზუსტობა.

საბჭოს თავჯდომარე მიმართავს დაწესებულების წარმომადგენელს, დაწესებულებას რეგულაციაში გაწერილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები, მიუხედავად მოცემული საკითხის საჭიროების დადგომისა. ექსპერტის განცხადების თანახმად, დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა არსებულ პოზიციას და უზრუნველყო აღნიშნული რეგულაციის შემუშავება, თუმცა წარმოდგენილ არგუმენტირებულში ნათლად არ ჩანდა პრობლემის აღმოფხვრა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ეთანხმებიან, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი წინასწარ იყოს გაწერილი სანამ უშუალოდ ფაქტის წინაშე დადგება დაწესებულება. შესაბამისად, დაწესებულების იურიდიულმა სამსახურმა მოცემული საკითხი უკვე ასახა დოკუმენტაციაში.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაწესებულებამ დაასახელა სამი პრაქტიკის ობიექტი, ნახეს თუ არა ექსპერტებმა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სტუდენტების რაოდენობის განაწილებასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, ნამდვილად არის გაწერილი ხელშეკრულებებში სტუდენტების რაოდენობის განაწილებასთან დაკავშირებული პუნქტები. აღნიშნული კვოტის ფარგლებში სტუდენტები გადანაწილებულია ისე, რომ არ დაირღვეს მოცემული რაოდენობა - 150

სტუდენტი. პრაქტიკის ობიექტები გამოხატავენ მზაობას, რომ მიიღონ და უზრუნველყონ სტუდენტების მომსახურება.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რით იქნა განპირობებული დაწესებულების წარმოდგენილ მასალებში კვოტის განსაზღვრა 144 სტუდენტით, თუ დაწესებულებას რეალურად მხოლოდ 124 სტუდენტი ჰყავს, ასევე მიუხედავად პროფესიის საჭიროებისა, რატომ არ შეივსო დანარჩენი 20 ადგილი.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, სტუდენტთა დიდი რაოდენობა დარეგისტრირდა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამაზე, აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ გამოცდის გარდა, დაამატა შიდა გასაუბრების პროცედურა, რის შედეგადაც გაიცხრილა ბევრი სტუდენტი და საბოლოოდ დარჩა 124. ასევე, უმრავლესობამ ვერ გამოხატა სწავლისთვის მზაობა მიმდინარე სემესტრში პირადი მიზეზებისა და დაწესებულების მკაცრი მიდგომის გათვალისწინებით, შესაბამისად, გაზაფხულის სემესტრისთვის გამოცხადდება დარჩენილ 20 ადგილზე მიღება.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა - eFlow-ში, ადმინისტრაციის რამდენი თანამშრომელია ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, eFlow-ს ამჟამად მოიხმარს დაწესებულების მხოლოდ ორი კადრი. აღნიშნული მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელი გადიოდა ყველაფერს, რასაც შემდეგ დირექტორი ადასტურებდა. აქედან გამომდინარე eFlow-ში მეტი ერთეულის ჩართვის საჭიროება აქამდე არ დამდგარა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ხარისხისა, ჩართული იყო ადმინისტრაციაც. მიმდინარე თვეში გეგმავენ მესამე თანამშრომელის გააქტიურებასაც, შესაბამისად ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელი, რომელიც ჩართული იყო eFlow-ს ელექტრონულ პროგრამაში, ითავსებდა თუ არა საქმის წარმოებასაც, თუ დაწესებულებას დამატებით ჰყავს საქმის მწარმოებელი.

ექსპერტის განცხადებით, მათი ვიზიტისას ორი ადამიანი იყო ჩართული eFlow-ში. დაწესებულებაში ელექტრონულად შესული კორესპონდენციის გადაწერა ხარისხზე ხორციელდებოდა დირექტორის მიერ, შემდეგ კი მატერიალური სახით მიეწოდებოდა დანარჩენ კადრებს, ამიტომ აუცილებელი გახდა eFlow-ში მეტი მომხმარებელის დამატება საქმის მწარმოებლის ჩათვლით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხი ნამდვილად არ ასრულებდა საქმის მწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობებს.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ექსპერტს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 124 სტუდენტი იყენებს სამ AC გარემოსა და ერთ B გარემოს, რამდენად შესაძლებელია ამდენი პროფესიული სტუდენტისთვის ერთი B გარემო იყოს გამტარი. ექსპერტებმა ნახეს თუ არა ადგილზე რამდენად გამტარია აუდიტორია და რამდენად შეესაბამება პროფესიულ პროგრამას. ასევე თუ იყენებს B გარემოს სხვა პროფესიული პროგრამებიც.

ექსპერტის განმარტებით, თვითონ მოდულის, ინფორმაციული წიგნიერების კომპონენტი არის საკმაოდ დაბალკრედიტიანი აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულებას ცხრილი ისე აქვს შედგენილი, რომ B გარემოს გამტარობა თავისუფლად შესაძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 4 მარტი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოებების დასკვნების საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში (ს/კ:406290954) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 4 მარტი.

მეორე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, დავით ჯინჭარაძეს, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა, საბჭოს წევრის დავით ჯინჭარაძის თვითაცილების საკითხს. საბჭოს 9 წევრი დაეთანხმა თვითაცილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, 27.09.2024 წლის №1223420 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი - პირობების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (მის. საქართველო, ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი No38) 2024წლის 25, 26 და 27 ნოემბერს (ნანა შარაბიძე და ჯილდა აბაშიძე), ინგა ბოჭოიძე - 25 ნოემბერი, დავით გუდაძე - 26 ნოემბერი, ნინო გორგოშაძე - 27 ნოემბერი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ და ჯილდა აბაშიძემ შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV და V) შესაბამისობა, ხოლო 26 ნოემბერს დარგის ექსპერტ დავით გუდაძესთან და 27 ნოემბერს დარგის ექსპერტთან ნინო გორგოშაძესთან ერთად დაწესებულების სამი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ 25 ნოემბერს განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

ვიზიტის შედეგად, ხარვეზი არ გამოვლენილა.
სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
საგანმანათლებლო პროგრამისთვის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური
ინდიკატორი 2.2.1.1

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს გარკვეული მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ობიექტების მარტივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
საგანმანათლებლო პროგრამისთვის - გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

ინდიკატორი 2.2.1.1
სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს გარკვეული მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის
ობიექტების მარტივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება – შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სასწავლო უნივერსიტეტის მომავლის ხედვა (ფილოსოფია), ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სასწავლო უნივერსიტეტის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან.

დასკვნა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. უნივერსიტეტს აქვს აუდიტორიები, რომელსაც მხოლოდ პროფესიული პროგრამებისთვის იყენებს, ხოლო ისეთ სივრცეებში, რომლებსაც იყენებენ, როგორც აკადემიური, ისე პროფესიული პროგრამებისთვის, მეცადინეობები ტარდება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. ასევე, პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 2 აკადემიური პერსონალი. მათი დატვირთვების გადამოწმებით ასევე დასტურდება, რომ აკადემიური პროგრამების განხორციელებას რისკი არ ექმნება. ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
აღსანიშნავია, რომ შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში (სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, კურიკულუმს გარეშე აქტივობები, სპორტული ღონისძიებები და სხვა) აკადემიური საფეხურის სტუდენტებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული პროფესიული სტუდენტები, შესაბამისად მათზე ვრცელდება ყველა ის წახალისების ფორმა (სტუდენტური სტიპენდია, შემეცნებითი ექსკურსიები, შეღავათები თეატრის წარმოდგენებზე დასასწრებად და სხვა), რასაც დაწესებულების ადმინისტრაცია აწესებს წარმატებული და აქტიური სტუდენტებისთვის.

ექსპერტმა მიმოიხილა ავტორიზაციის პირველი სტანდარტი, რომელიც სრულადაა შესაბამისობაში.
ბნსუ-ს მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება მაგისტრანტებისთვის/სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომელიც უვითარებს მათ საჭირო ცოდნას და უნარებს მუდმივად

განახლებად და ცვალებად ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში წარმატებული კარიერის მისაღწევად. აღნიშნული მისიით ბნსუ ეხმიანება პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ისეთ მიზნებს, როგორიცაა „ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა“, „საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა“. ბნსუ-ს მისიიდან ჩანს დაწესებულების როლი, რომ ის ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში უზრუნველყოს პროფესიონალი კადრების მომზადება და ხელი დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები ბნსუ-ს ხედვა ემყარება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბნსუ დარჩეს დინამიურ და მომავალზე ორიენტირებულ ინსტიტუციად და დარგობრივ სივრცეში აღიარებულ ბრენდად, რომელიც განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს, მხარს უჭერს ინსტიტუციურ მდგრადობას, ოპერატიულ ეფექტურობას და სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ბნსუ-ს თანასაზოგადოების აღიარებული ღირებულებებია: მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია; ერთიანობა, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება; პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება; საზოგადოებაში ჩართულობა; სოციალური პასუხისმგებლობა; ინოვაციებისადმი მზაობა.

ბნსუ-ში მიმდინარე წელს შეჯამდა სტრატეგიული გეგმის 2019-2024 წლის აქტივობები და 2024 წელს დამტკიცდა ახალი 2024-2030 წწ. სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით. ბნსუ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები საფუძვლად დაედო ბნსუ-ს განვითარების ახალ 7 წლიან სტრატეგიას და 3 წლიან სამოქმედო გეგმას. დაგეგმვის პროცესის ეტაპები ბნსუ-ში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვით განსაზღვრული წესისა და პროცედურების თანახმად, ხორციელდება: მოქმედი სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადება; ახალი სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება; სტრატეგიული გეგმის პროექტის მომზადება და განხილვა; სტრატეგიული გეგმის დამტკიცება; სამოქმედო გეგმის შედგენა და დამტკიცება. ყოველი ზემოაღნიშნული ეტაპისთვის განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები.

ბნსუ-ს სტრატეგიული მიმართულებებია: სტრატეგიული მიზანი 1 - ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტიანობა; სტრატეგიული მიზანი 2 - აკადემიური პროცესის და პროგრამული მიმართულების რეგულარული განვითარება; სტრატეგიული მიზანი კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება; სტრატეგიული მიზანი 4 - ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის განვითარება; სტრატეგიული მიზანი 5 - სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების / მსმენელების განვითარებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობა; სტრატეგიული მიზანი 6 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ბნსუ- ს რეგულაციებით გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი. სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მონიტორინგი და შეფასება მართვის განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას გეგმების ეფექტიანობის და ზოგადად, ბნსუ-ს საქმიანობის შესახებ; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ბნსუ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტით: „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და მისი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები“ განსაზღვრული პროცედურებისა და მეთოდების თანახმად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მესამე სტანდარტი სრულადაა დაკმაყოფილებული.
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივლისის No 01-55 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, მიღებული/ფორმალური განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებული პროცედურები. ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტების უფლებები განსაზღვრულია ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 10 იანვრის No 01-03 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესით“. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის N01-01 ბრძანებით დამტკიცებულია „დისკრიმინაციის, ჩაგვრის, დაშინების და შევიწროების შემთხვევებზე რეაგირების“ მექანიზმები. პროფესიულ სტუდენტსა (მის კანონიერ წარმომადგენელსა) და ბნსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, ბნსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა.

ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის N01-01 ბრძანებით დამტკიცებულია ბნსუ-ს „შინაგანაწესი“, რომელიც შედგენილია ბნსუ-ს ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს პროფესიულ სტუდენტთა ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროფესიულ სტუდენტსა და ბნსუ-ს შორის ურთიერთობის პროცესში. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები გარანტირებულია ასევე ბნსუ-ს ისეთი შიდა მარეგულირებელი აქტებით, როგორიცაა, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, სტუდენტური ინიციატივებისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები და სხვა. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის N01-01 ბრძანებით დამტკიცებულია „აკადემიური ეთიკის კოდექსი, პრინციპები და სტანდარტები“. დოკუმენტის მიხედვით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა, აკადემიური თავისუფლების პრინციპები, პედაგოგიური საქმიანობის ეთიკის სტანდარტი, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური ეთიკის სტანდარტი, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შემსწავლელი კომისიის მუშაობის მექანიზმები და სხვ.

პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. ასევე პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს

ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით, ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად, ამასთან არ გამოიწვევს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის შეუსაბამობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ბნსუ-ში ახლადჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას ახორციელებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტი. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრას სავალდებულოდ ესწრება ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის საშტატო პერსონალი. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს გაეცნოს ბნსუ-ს პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ბნსუ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. ბნსუ-ში მოქმედებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (E-Document), სადაც აღირიცხება ელექტრონულად და მატერიალურად შემოსული და გასული კორესპონდენცია. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 10 იანვრის N01-03 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ მიხედვით, რეგულირდება ისეთი საკითხები როგორიცაა: პროფესიულ სტუდენტთა სერვისები, სტუდენტთა მატერიალურ ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა, პროფორიენტაცია და კონსულტირება, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სასწავლო პროცესში მხარდაჭერა, კურიკულუმის გარეშე აქტივობების მიზნები და სახეები, კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და სტუდენტური ინიციატივების წარმდგენი პირები და ინიციატივების წარდგენის პროცედურა, ინიციატივის განხილვა, ინიციატივის დასაშვებობა და გადაწყვეტილების სახეები, შეხვედრა ინიციატორთან/საინიციატივო იგეგმება სპორტული, სახელოვნებო, შემეცნებითი ჯგუფთან, ინიციატივის განხილვის შედეგები, ანგარიშგება და საჯაროობა. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით შემუშვებული აქვს ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის N01-03 ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია” ასევე ბნსუ-ს სერვისებით მოსარგებლეთა უკუკავშირის მიღების პროცედურები დარეგულირებულია ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 10 იანვრის N01-03 დამტკიცებული ბრძანებით „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“.

ბნსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს სტუდენტური სერვისების სამსახური. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ბნსუ-ს რექტორის 2024 წლის 27 მარტის N01-23 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტური სერვისების სამსახურის დებულებით“, სადაც გაწერილია: პროფორიენტაციის მიმართულებით, კარიერის მართვისა და დასაქმების მიმართულებით, და სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მხარდაჭერისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების მიმართულებით, სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობები. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მიმოიხილა ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტი.
პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი მმართველი რგოლი არის პარტნიორთა

კრება. ბნსუ-ს ხელმძღვანელობს რექტორი, მართვის ორგანოებია (სუბიექტები): პარტნიორთა კრება; რექტორი; აკადემიური საბჭო; ფაკულტეტ(ებ)ის საბჭო(ები); პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კანცლერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მართვის ორგანოების (სუბიექტების) და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი, უფლებები და ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებებით. ბნსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი წარმოადგენენ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. მათი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ბნსუ-ს პარტნიორთა კრების 2023 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით“ და მათი თანამდებობრივი ინსტრუქციებით. დაწესებულების პროფესიული განათლების დეპარტამენტს აქვს საშტატო განრიგი, სადაც მოცემულია პოზიციები, როგორც დეპარტამენტის ფარგლებში, ისე ზოგადსაუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვა-ადმინისტრირებაში ჩართული სტრუქტურული და საშტატო ერთეულები. ბნსუ-ს ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებაა ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისის გაწევა, რაც განსაზღვრულია მათ თანამდებობრივ ინსტრუქციებში, წლიურ სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებში.

ბნსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები დარეგულირებულია შემდეგი დოკუმენტებით: ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 ივლისის N01-29 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის სახელმძღვანელო“; ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომის 2024 წლის 26 მარტის N4 ოქმის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“; ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 მაისის N01-20 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის სამსახურის დებულება“. სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკომპლექტებულია 6 პირით, მათ შორის 2 პირი არის უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი ხელმძღვანელობს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და თითოეული დასაქმებულისთვის შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, შიდა აუდიტის პროცედურა და სხვ. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის No 01-01 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს პერსონალთან შრომითი ურთიერთობისა და შრომის დისციპლინის საკითხებს. საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ბნსუ-ს შინაგანაწესით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: პერსონალის უფლებები და მოვალეობები, ბნსუ-ს პერსონალის სახეები და ბნსუ–ში დასაქმებული სხვა პირები. პერსონალის შერჩევის ძირითადი პრინციპები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პერსონალის სახეები კატეგორიების მიხედვით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, შრომითი ხელშეკრულება, შრომითი ურთიერთობები და სხვა. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 იანვრის No01-01 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ არეგულირებს ბნსუ-ს ყველა კატეგორიის პერსონალის შერჩევის მიდგომებსა და პროცედურებს. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსის ან პირდაპირი შერჩევის გზით, ხოლო დასაქმების საფუძველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. ბნსუ-ს შინაგანაწესითა და ბნსუ-ს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესით“, ასევე ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასტურად პერსონალის ყველა პირად საქმეში განთავსებულია შესაბამისი დოკუმენტაცია.

ბნსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბნსუ-ს „პერსონალის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც მოიცავს პერსონალის 360 გრადუსიანი შეფასების ყველა ასპექტს. პერსონალის საქმიანობის შეფასების შემდეგი მეთოდია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შიდა აუდიტი, რომლის დროსაც ფასდება სამსახურის საქმიანობა ე. წ. MBO სტანდარტების შესაბამისად, რა დროსაც ფასდება სამსახურის მიზნებთან სამსახურის საქმიანობის შესაბამისობა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება, ბნსუ-ს საქმეთა ნომენკლატურით განსაზღვრული საქმეების წარმოების სისწორე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, შესაბამისი დასაბუთების არსებობა და სხვ. ბნსუ-ში პერსონალის განვითარების მიზნით, კალენდარული წლის დასაწყისში ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ადგენს პერსონალის განვითარების გეგმას, იგი მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომელიც იდენტიფიცირდა პერსონალის საჭიროების კვლევიდან და გამომდინარეობს პროფესიული სტუდენტების მიერ პერსონალის შეფასების შედეგებიდან, ასევე პერსონალის ანგარიშისა და პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზიდან.

ბნსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა ეფუძნება მათი საჭიროების კვლევიდან მიღებულ ინფორმაციას, ამ მიმართულებით ბნსუ-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებების საფუძველია: ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, ბნსუ-ს მიერ განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა. ზემოაღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, ბნსუ ინტენსიურად ახორციელებს სამუშაო შეხვედრებს, ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, ტრენინგებს და სხვა. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 მაისის N01-25 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერის წესი“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პერსონალის ინიციატივების მიზნები და სახეები, ინიციატივების წარმდგენი პირები, ინიციატივების წარდგენის პროცედურა, ინიციატივების განხილვა, ინიციატივების დასაშვებობა და გადაწყვეტილების სახეები, შეხვედრა ინიციატორთან/საინიციატივო ჯგუფთან, ინიციატივის განხილვის შედეგები, ანგარიშგება და საჯაროობა, ასევე დამტკიცებულია საინიციატივო განაცხადების ფორმა. აქტივობების ინიცირება შეუძლიათ: ბნსუ-ს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებლებს და პრაქტიკის ინსტრუქტორებს/მენტორებს. გარდა ბნსუ-ს პერსონალისა, ასევე, აქტივობების ინიცირება შეუძლიათ პარტნიორი დაწესებულების/ორგანიზაციების პერსონალს, დამსაქმებლებს და სხვა პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ სასწავლო უნივერსიტეტთან, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, ბნსუ საკუთრების უფლებით ფლობს ოთხსართულიან სამ შენობას და ასევე სასწავლო მიზნებისთვის - სასწავლო, საწვრთნელ აუზს. უნივერსიტეტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის გამიჯნული აქვს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და ცალკეული ადმინისტრაციული სივრცეები. ბნსუ-ში თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილია შემდეგი საერთო სივრცეები, რომელიც შეუზღუდავად ხელმისაწვდომისა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის: ფოიე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე, თეორიული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი

კაბინეტები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი/შემეცნებითი საქმიანობისთვის, სივრცე არქივისთვის, კაფე, სპორტული დარბაზი, მუსიკალური სალონი, სტადიონი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ბნსუ-ს შინაგანაწესის მე-10 მუხლი ადგენს ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის საკითხებს, რის მიხედვითაც სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგაფონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პერსონალის სასწავლო, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ბნსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი - თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და უნივერსალური ხასიათის გამოცემები, სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, საინფორმაციო და საილუსტრაციო მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდვითი გამოცემების გარდა მოიცავს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს, აუდიო და ვიზუალურ მასალას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, მუდმივი ინტერნეტით და უზრუნველყოფილია ონლაინ რეჟიმში Witherbys Library (ელექტრონული ბიბლიოთეკით) სარგებლობა.

ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 03 მაისის N01-20 ბრძანებით დამტკიცებულია „ტექნიკური რეგლამენტი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სასწავლო დაწესებულებებში“. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. ბნსუ-ში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან, ასევე შენობას სართულებიდან გააჩნია სათანადო რაოდენობის საევაკუაციო გასასვლელები და საევაკუაციო კიბეები, ბნსუ აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, დაწესებულებაში მოწყობილია პანდუსები. ფუნქციონირებს ლიფტი.

ექსპერტის განცხადებით, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, ბნსუ-ს საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე.

ბნსუ-ში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. ბნსუ უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები. ბნსუ-ში პროფესიული განათლების მიმართულებით ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვაში გამოიყენება 107 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც აღჭურვილია სასწავლო და სამუშაო პროცესის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, 16 პრინტერი/კომბაინი; 36 ერთეული პროექტორი და შესაბამისი IT საშუალებები.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ბნსუ-ში ყველა სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში. ბნსუ-ში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს ტექნოლოგიური უზრუნველყოფის და კომუნიკაციის სამსახური. ბნსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 მაისის No01-25 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ რომელიც არეგულირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ბნსუ-ს IT ინფრასტრუქტურით მოსარგებლეთა მართვის პრინციპებს, ახალი სისტემის დანერგვასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საზიანო პროგრამებზე კონტროლის ღონისძიებებს, ვირუსებისგან დაცვას, კომპიუტერული ქსელის მართვას, ვიდეო კონტროლს, საინფორმაციო ქსელის ინფრასტრუქტურას, ბნსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის კომპონენტებს, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას, სარეზერვო სისტემებს, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვას, საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასებასა და IT რისკების მართვას. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბნსუ-ში ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს ბნსუ-ს პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე. ბნსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზას განეკუთვნება: კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, ეკრანები, პრინტერები, ქსეროქსის აპარატი, კომბაინები, სერვერები, ინტერნეტისა და ტელეფონის მუშაობასთან დაკავშირებული მოწყობილობები, ხმის აღწარმოების საშუალებები, კომპიუტერული პროგრამები (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საჭირო პროგრამები), სათვალთვალო სისტემის აღჭურვილობა და სხვა ტექნიკა, რაც ბნსუ-ს სასწავლო და ადმინისტრაციული მუშაობისთვისაა განკუთვნილი.

ექსპერტის განცხადებით, IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბნსუ-ს ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის პერსონალს. ბნსუ იყენებს შიდა ელექტრონულ სისტემას (bntu.ini.ge). აღნიშნული სისტემა აერთიანებს შემდეგ მოდულებს (ფუნქციონალებს): სასწავლო პროცესის მოდული, ბიბლიოთეკის მოდული, საფინანსო მოდული, საკომუნიკაციო ფუნქცია. ბნსუ-ს ოფიციალური ვებგვერდია www.bntu.edu.ge. მას აქვს შემდეგი ფუნქცია: საინფორმაციო ფუნქცია (განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ბნსუ-ს ისტორია, მისია, სტრუქტურა, ინფორმაცია მართვის ორგანოების, საგანმანათლებლო საქმიანობის, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების, სიახლეების შესახებ და სხვა საჯარო ინფორმაცია), საკომუნიკაციო ფუნქცია

(ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაუკავშირდეს ბნსუ-ს და მიიღოს მისთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია, წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და ა.შ.). ბნსუ-ში პერსონალი და პროფესიული სტუდენტები შეუზღუდავად სარგებლობენ კორპორატიული ელექტრონული ფოსტით. პერსონალს კორპორატიული ელ. ფოსტა ეხსნება ბნსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს მათი ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემისთანავე. ბნსუ ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას („E-Document“), სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ბნსუ-ს შემოსავლების ძირითადი წყაროა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელებიდან მიღებული შემოსავლები და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. ბნსუ-ს საფინანსო სამსახური კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს. ბნსუ-ს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება ბნსუ-ს მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით და ბნსუ-ში არსებული ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით. ბნსუ-ში ხელმისაწვდომია ყველა წლის საოპერაციო ხარჯების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ცხადია, რომ ბნსუ ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. ბნსუ ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ”საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური”

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციისათვის, დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება და მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების მოთხოვნა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ - მოთხოვნილი აქვს 130 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტის განცხადებით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის რეგულაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეფასებულია დაწესებულების A გარემო, კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილია პირველ კორპუსში 3 აუდიტორია, რომელიც არ არის დატვირთული სხვა პროგრამისათვის და მას შეუძლია 86 პროფესიული სტუდენტის განთავსება. თუ აღნიშნული კლასები გამოყენებული იქნება 2 ცვლაში მაშინ რაოდენობრივად A გარემო დაიტევს 172 პროფესიულ სტუდენტს, რაც სავსებით საკმარისია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 130 სტუდენტისთვის. აუდიტორიები არის ნათელი, მათ გააჩნიათ ბუნებრივი და ხელოვნური განათებები, აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მერხითა და სკამით, არის პროექტორი, დაფა. პროფესიულ მასწავლებლებს აქვს დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ლეპტოპები, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

დაწესებულებას ასევე გააჩნია 3 B კატეგორიის აუდიტორია, რომელიც გამოიყენება აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის და მას შეუძლია 60 სტუდენტის განთავსება ერთ ცვლაში. აღნიშნული აუდიტორიები გამოიყენება ასევე დაწესებულების დანარჩენი ორი პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, თუმცა სასწავლო გეგმის მიხედვით სამივე პროგრამის ინფორმაციული წიგნიერება ერთ დროს არ ტარდება. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციისათვის ერთ ცვლაში აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვა 20 პროცენტს არ აღემატებს. შესაბამისად B გარემო საკმარისია დაწესებულების ზღვრული რაოდენობის სტუდენტებისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: სკამი, მაგიდა, პროექტორი, შესაბამისი რაოდენობის ქსელში ჩართული კომპიუტერები. საგემბანე ექსპლუატაციის პროფესიული პროგრამისათვის დაწესებულებას შერჩეული და შეფასებული აქვს ასევე C გარემოს შესაბამისობა სტანდარტებთან და მისი გამტარუნარიანობა. C გარემოსთვის იგი იყენებს საწვრთნელ აუზს, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს, ელემენტარული სამედიცინო დახმარების კაბინეტს, რომელიც მოწყობილია შესაბამისი საჭირო ინვენტარით, პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტს, აღნიშნული კაბინეტების გამოყენება მოხდება ორ ცვლაში რადგან იგი ასევე ფარავს მეორე პროფესიული პროგრამის მოდულებს. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს საწარმოო პრაქტიკისათვის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტები, ხელშეკრულებები გაფორმებულია 11 მცურავ საშუალებასთან, სადაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობები და ის მოდულები, რომლებიც უნდა გაიარონ პრაქტიკული სწავლების დროს: გემბანის რიგითის პროგრამისათვის ხდება 5 მოდულის 9 სწავლის შედეგების გავლა, ასევე საწარმოო პრაქტიკა. ერთდროულად შესაძლებელია ერთ ცვლაში 80 სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე განთავსება, ხოლო ორ ცვლაში 160 სტუდენტის, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის დაწესებულებას შეფასებული აქვს ადამიანური რესურსი, როგორც პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის, რაც შესაბამისია პროგრამით მოთხოვნილ რაოდენობასთან. ბნსუ-ს საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული პროგრამისთვის შერჩეული ჰყავს 19 პროფესიული პედაგოგი, რომელთაგან 6 არის პროფესიული ნიშნით. დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლები ისე ჰყავს შერჩეული რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი მოდულის დაზღვევა. შეფასებულია ასევე ფინანსური მდგრადობა პროგრამის განხორციელებისთვის, რენტაბელობის ზღვარი დადგენილია 15 პროფესიულ სტუდენტზე იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა და შესაბამისად ჩარიცხულთა რაოდენობა არის გაცილებით მეტი, მიუთითებს პროგრამის ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას 130 პროფესიული სტუდენტისათვის.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტს და რელევანტურია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. პროგრამის საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა ასევე შესაბამისია ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ რესურსთან და ყველა მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური თუ ელექტრონული ფორმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. პროგრამა არის 92 კრედიტიანი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 107 კრედიტიანი უცხოენოვანი სტუდენტებისთვის. 75 კრედიტი მოიცავს პროგრამის პროფესიულ მოდულებს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, მასში განსაზღვრულია მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, მითითებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლების

მეთოდოლოგია. პროგრამას ახლავს დანართებად მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია განმახორციელებელი პირებისა და მატერიალური რესურსის შესახებ. სასწავლო გეგმაში განსაზღვრული მოდულების წინაპირობები, შუალედი მოდულებს შორის შუალედური გამოცდებისა და განმეორებითი გამოცდების შემთხვევისათვის. სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ითვალისწინებს დატვირთვის ნორმებს, რაც მოთხოვნილია ეროვნული კანონმდებლობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური"

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციისათვის, დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება და მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების მოთხოვნა. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ეს მოთხოვნა შესაბამისად არის გათვალისწინებული და ასახული სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიულ პროგრამაში. დაწესებულების მიერ შემუშავებული ჩარიცხვის წესი და დანერგილი პროცესები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი პირების მიღებას, რომელთაც ექნებათ შესაბამისი უნარები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. საგანმანათლებლო პროგრამას მოთხოვნილი აქვს 100 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისათვის დაწესებულება ეფუძნება თავის მარეგულირებელ დოკუმენტს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება", სადაც მე-9 თავი დეტალურად აღწერს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის რეგულაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეფასებულია დაწესებულების A გარემო, კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილია პირველ კორპუსში 3 აუდიტორია, რომლებიც არ არის განკუთვნილი სხვა პროგრამისათვის და მას შეუძლია 86 პროფესიული სტუდენტის განთავსება, თუ აღნიშნული კლასები გამოყენებული იქნება 2 ცვლაში მაშინ რაოდენობრივად A გარემო დაიტევს 172 პროფესიულ სტუდენტს, რაც სავსებით საკმარისია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 100 სტუდენტისთვის. აუდიტორიები არის ნათელი, მას გააჩნია ბუნებრივი და ხელოვნური განათებები, აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მერხითა და სკამით, არის პროექტორი, დაფა, პროფესიულ მასწავლებლებს აქვს დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ლეპტოპები, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პროცესში. დაწესებულებას ასევე გააჩნია 3 B კატეგორიის აუდიტორია, რომელიც გამოიყენება აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის და მას შეუძლია 60 სტუდენტის განთავსება ერთ ცვლაში. აღნიშნული აუდიტორიები გამოიყენება ასევე დაწესებულების დანარჩენი ორი პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, თუმცა სასწავლო გეგმის მიხედვით სამივე პროგრამის ინფორმაციული წიგნიერება ერთ დროს არ ტარდება. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციისათვის ერთ ცვლაში აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვა 20 პროცენტს არ აღემატება, შესაბამისად B გარემო საკმარისია დაწესებულების ზღვრული რაოდენობის სტუდენტებისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: სკამი, მაგიდა, პროექტორი, შესაბამისი რაოდენობის ქსელში ჩართული კომპიუტერები. სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული პროგრამისათვის დაწესებულებას შერჩეული და შეფასებული აქვს ასევე C გარემოს შესაბამისობა სტანდარტებთან და მისი გამტარუნარიანობა. C გარემოსთვის იგი იყენებს საწვრთნელ აუზს, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს, ელემენტარული სამედიცინო დახმარების კაბინეტს, რომელიც მოწყობილია შესაბამისი საჭირო ინვენტარით, პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტს, აღნიშნული კაბინეტების გამოყენება მოხდება ორ ცვლაში რადგან იგი ასევე ფარავს სხვა პროფესიული პროგრამის მოდულებს. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს საწარმოო პრაქტიკისათვის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტები,

ხელშეკრულებები გაფორმებულია 11 მცურავ საშუალებასთან, სადაც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობები და ის მოდულები, რომლებიც უნდა გაიარონ პრაქტიკული სწავლების დროს: გემბანის რიგითის პროგრამისათვის ხდება 4 მოდულის 10 სწავლის შედეგების გავლა, ასევე საწარმოო პრაქტიკა. ერთდროულად შესაძლებელია ერთ ცვლაში 80 სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე განთავსება, ხოლო ორ ცვლაში 160 სტუდენტის, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას.

ექსპერტის განმარტებით, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის დაწესებულებას შეფასებული აქვს ადამიანური რესურსი, როგორც პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის, რაც შესაბამისია პროგრამით მოთხოვნილ რაოდენობასთან. შეფასებულია ასევე ფინანსური მდგრადობა პროგრამის განხორციელებისთვის, რენტაბელობის ზღვარი დადგენილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა და შესაბამისად ჩარიცხულთა რაოდენობა არის გაცილებით მეტი, მიუთითებს პროგრამის ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას 100 პროფესიული სტუდენტისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. პროგრამა არის 88 კრედიტიანი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 103 კრედიტიანი უცხოენოვანი სტუდენტებისთვის. 71 კრედიტი მოიცავს პროგრამის პროფესიული მოდულებს. „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე რიგითი მეზღვაური“ არის ბნსუ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება. აღნიშნული სახელწოდება თანხვედრაშია საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება / Marine Transport Services ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან და შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, მასში განსაზღვრულია მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, მითითებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამას ახლავს დანართებად მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია განმახორციელებელი პირებისა და მატერიალური რესურსის შესახებ. სასწავლო გეგმაში განსაზღვრული მოდულების წინაპირობები, შუალედი მოდულებს შორის შუალედური გამოცდებისა და განმეორებითი გამოცდების შემთხვევისათვის. სტუდენტთა კვირეული დატვირთვა ითვალისწინებს დატვირთვის ნორმებს, რაც მოთხოვნილია ეროვნული კანონმდებლობით. დაწესებულებას პროფესიული პროგრამით განსაზღვრული 40 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს კორპორაციული ხელშეკრულებები სხვადასხვა კომპანიებთან, რომელთაც ჯამში შეუძლიათ 11 თევზსაჭერი გემი შესთავაზოს პროფესიული სტუდენტებისთვის. კორპორაციული ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობებს, მოდულებს რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც დაგეგმილია აღნიშნულ გემებზე, პასუხისმგებელ პირებს პრაქტიკის მონიტორინგისათვის, მენტორის ვალდებულებას. წარმოდგენილი კორპორაციული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არის სულ 160 ორ ცვლაში, რაც საკმარისია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად დაწესებულება იყენებს მის მფლობელობაში არსებულ გემს „ელიტა“ (ქ. ბათუმი) და ფოთის ან ყულევის ნავსადგურში რეგისტრირებულ თევზსაჭერ გემებს. დაწესებულებას გააჩნია საწვრთნელი აუზი პირადი გადარჩენის მეთოდების წვრთნებისთვის, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სივრცით ხანძრის იმიტაციისთვის, წყლის მილებით, სხვადასხვა ტიპის ცეცხლმაქრებით. ბნსუ-ს სამანქანო განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული პროგრამისთვის შერჩეული ჰყავს 2

პროფესიული პედაგოგი, რომელთაგან 7 არის პროფესიული ნიშნით. დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლები ისე ჰყავს შერჩეული, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი მოდულის დაზღვევა. სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელად და თანახელმძღვანელად დანიშნულია პირები, რომელთაც გააჩნიათ დარგობრივი კომპეტენცია და საზღვაო გამოცდილება - გემზე მუშაობის სტაჟი მართვის დონეზე. მათ დამატებით გავლილი აქვთ ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასებისთვის. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც ასახავს მათ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელისა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულება ასევე ცდილობს შეიმუშავოს სასწავლო მასალის შესაბამისი რიდერები იმ მოდულებისთვის, სადაც ნაკლებია ლიტერატურა. სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დასადასტურებლად წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზი ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ფინანსურ რესურსებს შემოსავლებისა და იდენტიფიცირებული ხარჯის შესაბამისად. დაწესებულებას რენტაბელობის ზღვარად განსაზღვრული აქვს 15 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - “ელექტროობა“ დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით - ელექტროობა/Electricity განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ბნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; დ) პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ე) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა; ვ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში, დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა; B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 10%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ათმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმაგი რაოდენობა. ბნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული მიდგომებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ელექტროობა“ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც დასაბუთებულია ბნსუ-ს ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების შეფასების შედეგებით, იძლევა 20 პროფესიული სტუდენტის ერთობლივად მიღების შესაძლებლობას. პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბნსუ-ს

ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/და მატერიალური სახით. პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი ქართულენოვანთათვის, ხოლო 67 კრედიტი არაქართულენოვანთათვის. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 10, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 42 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. ბნსუ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება - „ელექტროობა“ თანხვედრაშია - ელექტროობა/Electricity ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი. ექსპერტის განმარტებით, პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროგრამა - ელექტროობა ითვალისწინებს გაცნობითი პრაქტიკის მოდულს, რისთვისაც ბნსუ თანამშრომლობს კომპანიასთან - შპს „საზღვაო ტექსერვისი“, ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. N63.

ექსპერტის განცხადებით, პრაქტიკის ობიექტთან ბნსუ-ს გაფორმებული აქვს „კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის“, ბნსუ-ს ქ. ბათუმში თამარ მეფის გამზირი N38 არსებული შენობასა და გარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი აქვს A, B და C სასწავლო გარემოები. კერძოდ: A/C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია, N 317, 30,13კვ. -10 სტუდენტზე. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით, სადემონსტრაციო პროექტორი, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში გამოყოფილია სტენდი და სამუშაო ადგილი, ოთახში დამონტაჟებულია 220/380 V ძაბვის კარადა პრაქტიკული დავალებისთვის, აღჭურვილობა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის და გამოიყენება სასწავლო პროცესში. A/C- მაღალი ძაბვის ლაბორატორია - 20 სტუდენტზე. სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს მაღალი ძაბვის ლაბორატორიას. A/C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია - 20 სტუდენტზე. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით, სადემონსტრაციო პროექტორი, პრინტერი, კომპიუტერი პროფესიული განათლების თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია ხელსაწყო მასალა ნედლეული, კერძოდ: ვოლტმერი; ამპერმეტრი ციფრული, ცვლადი დენის კონდესატორი, ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი, ლაბორატორიული რეოსტატი, სიხშირმზომი.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის მიზნისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება - „შპს საზღვაო ტექსერვიზი“, 10 იანვარი 2024 წ. მოქმედებს 2034 წლის 10 იანვრამდე. 15 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში, ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებაზე თანდართულია დანართები ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა ნედლეული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსახორციელებელი მოდულები და ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის მიზნებისთვის. B სასწავლო გარემო, ლაბორატორია N 328-42კვ - 22 ადგილი, N 329-51კვ - 22 ადგილი, N 448-37კვ - 16 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით და 1 კომპიუტერით, პროექტორი, დაფა.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით ან/და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, ბნსუ-ს ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან მატერიალური სახით. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 15 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 20-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, აღნიშნული დაწესებულება მრავალსართულიანია და კონკრეტულად, რომელ სართულზე ხორციელდება პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის ლექციები.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული განათლება ძირითადად მეორე სართულზეა, თუმცა მესამე სართულზეც არის სასწავლო აუდიტორიები, სადაც პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, ასევე სარგებლობენ აკადემიური სტუდენტებიც. ექსპერტებმა გამოითხოვეს დოკუმენტურად თუ როგორ იყო აუდიტორიები განაწილებული A, B და C გარემოსთან მიმართებაში. A გარემოზე, მაგალითად, მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისთვის იყო შესაბამისი აუდიტორიები, B გარემოს შემთხვევაში კი იყო თანხვედრა, თუმცა გაწერილი დღეების მიხედვით. ეს ყველაფერი აღნიშნული აქვს დაწესებულებას დოკუმენტურადაც და არავითარი პრობლემა არ იყო, თუნდაც B გარემოს თავსებადობასთან დაკავშირებითაც.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც ორ პროგრამას ეხება: „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“, სადაც 100 სტუდენტი ჰყავთ მოთხოვნილი და „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური“, სადაც, ასევე 130 პროფესიული სტუდენტი ჰყავთ მოთხოვნილი, განმარტავს, რომ სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ობიექტების მარტივ ხელმისაწვდომობას, თუმცა ინდიკატორის აღწერის დროს აღნიშნავენ ექსპერტები, რომ სტუდენტების განაწილება საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ხდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაწესებულების მფლობელობაში არსებული გემი „ელიტა“ მდებარეობს ქ. ბათუმში, მეორე პრაქტიკის ობიექტს კი წარმოადგენს ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში არსებული თევზსაჭერი გემები. სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე განაწილებულნი არიან საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით.

ექსპერტის განმარტებით, ფოთში განაწილებული სტუდენტები იყვნენ გურიიდან და მათთვის ფოთში სიარული უფრო მოსახერხებელია ვიდრე ბათუმში. 2023 და 2024 წლის მიღებაში ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ იყო, თუმცა დაწესებულება სარგებლობს რეავტორიზაციის პროცესით და აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია პერსპექტივაში.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ბათუმის პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტები ვერ დაეტევიან სრულიად, მაშინ განხორციელდება ზემოაღნიშნული მეთოდი და სტუდენტების ტრანსპორტირებას მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფს თავად დაწესებულება, მაგრამ აღნიშნული პროცესები დოკუმენტურად გაწერილი ჯერ არ არის.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ექსპერტს, როგორ ხდება ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღება პროფესიული პროგრამების განხორციელების ნაწილში, თუნდაც საქმის წარმოების ნაწილში და ვინ არის პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პარალელურად წარმოადგენს პროფესიული დეპარტამენტის კოორდინატორის პოზიციასაც, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების მართვის სრულ პასუხისმგებლობას. დაწესებულებაში პროფესიული და უმაღლესი განათლება თანაბარი უფლებებით სარგებლობს, თუმცა პროფესიული განყოფილება წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. აღნიშნულ განყოფილებას ჰყავს საკუთარი განმახორციელებლები და იგი ორგანიზაციულად არ არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების სეგმენტთან. პროფესიული განათლების ძირითადი ფუნქციონირება ხორციელდება სპეციფიკური მართვის მოდელით. თითოეულ პროგრამას ჰყავს როგორც ხელმძღვანელი, ასევე თანახელმძღვანელი, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებლები არიან პროგრამის წარმართვაზე. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებობს სპეციალისტი, რომელიც პროფესიული განათლების მიმართულებას კურირებს.

საბჭოს წევრი, კითხვით მიმართავს ექსპერტს, როგორია ორი დიდი 130 და 100 კაციან სტუდენტთა ჯგუფის გამჭვირვალედ მიღებისა და მათთვის სრულფასოვანი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა და რამდენად თვალსაჩინოდ იყო სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახული ინფორმაცია იმის თაობაზე თუ ტერიტორიულად სად გაივლიან ისინი პრაქტიკას, რათა სტუდენტებს გაეცნობიერებინათ პრაქტიკის გავლის პირობები და სპეციფიკა.

ექსპერტის განმარტებით, სტუდენტთა პრაქტიკა იგეგმება მეორე სასწავლო წელს. პრაქტიკის ობიექტებად განსაზღვრულია თევზსაჭერი გემები, სადაც თითოეულ გემზე მხოლოდ 5-7 სტუდენტი გადის პრაქტიკას. გემების რაოდენობა სრულად საკმარისია სტუდენტისთვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ 130 სტუდენტიდან ერთდროულად ყველა არ გადის პრაქტიკას, რადგან მათი რაოდენობის ნახევარი მეორე ნაკადის სწავლების პროცესშია. „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" პროგრამის სპეციფიკა გულისხმობს ორ სხვადასხვა სამუშაო ლოკაციას გემბანსა და სამანქანე განყოფილებაში. აღნიშნული გარემოება კი არანაირ პრობლემას არ ქმნის პრაქტიკის პროცესში.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა დამატებით გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები 11 მცურავ საშუალებასთან, ექსპერტებმა დათვალეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით რამდენი სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი გემზე ერთდროულად, ვინაიდან გემებს გააჩნიათ სახელმწიფო სერთიფიკატები, სადაც აღნიშნულია შესაბამისი რაოდენობები. ამგვარად, მოცემული რაოდენობა ფარავს სტუდენტების არსებულ რაოდენობას, რომელიც მოთხოვნილია დაწესებულების მიერ, როგორც სამანქანე, ასევე საგემბანე განყოფილებებისათვის. რეკომენდაცია გაიცა მომავალში ხარვეზის პრევენციის მიზნით, ვინაიდან პრაქტიკა ექვს თვიანია და პროფესიულ სტუდენტს ტრანსპორტირება შეიძლება გაუჭირდეს, ამიტომ ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს აღნიშნული მექანიზმები. გარდა ამისა, სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც გასაწერია პუნქტი

საცხოვრებელის ადგილის მიხედვით განაწილების შესახებ. დაახლოებით 15 სტუდენტი საგემბანე და 3 სამანქანე განყოფილებისთვის იყო გადამისამართებული ფოთის და ყულევის პრაქტიკის ობიექტზე საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, გარკვეული სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ აიტი სამსახური და კანცელარია, საერთოა პროფესიული დეპარტამენტისა და უმაღლესი განათლებისთვის. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა პრაქტიკის სწორ დაგეგმვასა და განაწილებაზე, კერძოდ, მათ გააჩნიათ მკაფიო სტრატეგია იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტი იქნება განაწილებული გემ „ელიტაზე" პრაქტიკის პერიოდში და რამდენი - ფოთის ტერიტორიაზე. პრაქტიკის არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, დაწესებულება არ ითხოვს დამატებით 50 სტუდენტის ადგილს, რადგან ზუსტად აცნობიერებს თავისი შესაძლებლობების მასშტაბს და ზრუნავს იმაზე, რომ არსებული რაოდენობის სტუდენტებს მიაწოდონ ღირსეული და ხარისხიანი განათლება.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს 2025 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამის შემდეგ მას დღემდე არ ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების სტუდენტებს, ავტორიზაციის დღიდან შეუჩერდათ სტატუსი და იმისათვის, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებები იყოს დაცული. საბჭოს წევრების თანხმობით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად უნდა განისაზღვროს 2025 წლის 13 თებერვალი.

საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობა განაცხადეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების უფლებამოსილება. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 13 თებერვალი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია